ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი
მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტი
საბაკალავრო პროგრამა: გრაფიკის ხელოვნება (ძირითადი და დამატებითი სპეციალობა)
კურიკულუმი

| | |
|---|---|
| ფაკულტეტის დასახელება | მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტი |
| პროგრამის დასახელება | გრაფიკის ხელოვნება (ძირითადი და დამატებითი სპეციალობა)<br>Graphic Art (major and minor) |
| მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი/კვალიფიკაცია | ხელოვნების ბაკალავრი გრაფიკაში<br>Bachelor of Fine Arts in Graphic Art |
| პროგრამის ხანგრძლივობა (სემესტრი, კრედიტების რაოდენობა) | 8 სემესტრი, 240 კრედიტი (1 კრედიტი - 25 საათი):<br>• ძირითადი სწავლის სფერო - 120 კრედიტი<br>• თავისუფალი კომპონენტი: ზოგადი მოდული - 60 კრედიტი<br>• დამატებითი პროგრამა/თავისუფალი კომპონენტი - 60 კრედიტი |
| სწავლების ენა | ქართული |
| პროგრამის შემუშავების თარიღი და განახლების საკითხი | პროგრამა შემუშავებულია 2011 წელს და განახლდა 2022 წელს. პროგრამა განახლებადია ყოველი სასწავლო წლის დასაწყისში სასწავლო პროცესის გაუმჯობესების მიზნით. |
| პროგრამის ხელმძღვანელი/ხელმძღვანელები | თამარ ცაგარელი |

**პროგრამაზე დაშვების წინაპირობები (მოთხოვნები)**

პროგრამაზე ჩარიცხვის მსურველს ჩაბარებული უნდა ჰქონდეს ერთიანი ეროვნული გამოცდები საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილი წესის შესაბამისად. ასევე, კონკურსანტმა უნდა უნდა გაიაროს შიდასაუნივერსიტეტო შემოქმედებითი ტური.

შიდა საუნივერსიტეტო შემოქმედებითი ტურის ფარგლებში მოწმდება კონკურსანტის კომპოზიციური აზროვნებისა და სხვადასხვა სამხატვრო მასალების გამოყენებით იდეის გადმოცემის უნარი წარმოდგენილ პორტფოლიოს საფუძველზე.

დეტალური ინფორმაცია შიდასაუნივერსიტეტო ტურის პირობების, მოთხოვნების, შეფასების კომპონენტებისა და კრიტერიუმების შესახებ მოცემულია „პროგრამაზე მიღების დოკუმენტში", რომელიც თავსდება უნივერსიტეტის ვებგვერდზე www.iliauni.edu.ge.

**პროგრამის მიზნები**

პროგრამის მიზანია, კონკურენტუნარიანი და მრავალმხრივი კომპეტენციების მქონე გრაფიკოსის მომზადება, რომელიც შეძლებს შემოქმედებითი ინდუსტრიის სფეროს მზარდი მოთხოვნების დაკმაყოფილებას და მზად იქნება, წვლილი შეიტანოს თანამედროვე საზოგადოების კულტურულ-ესთეტიკური განვითარების პროცესში. პროგრამის ფარგლებში მომზადებული გრაფიკოსი:

- დაუფლებული იქნება სახვითი და გამოყენებითი ხელოვნებისა და დიზაინის საბაზისო დისციპლინებსა და თეორიულ ცოდნას ხელოვნების ტრადიციული დარგებისა და უახლესი ტენდენციების შესახებ;
- დაუფლებული იქნება გრაფიკის ხელოვნების ურთიერთთავსებადი სახეობების - დაზგური და გამოყენებითი გრაფიკის კომპოზიციურ, ტექნოლოგიურ კანონებს, სათანადო მასალების გამოყენების პრინციპებსა და მიდგომებს; ამასთან კომპიუტერულ პროგრამების გამოყენების ტექნიკებს დაზგური და გამოყენებითი გრაფიკული ნამუშევრის შესასრულებლად;
- მზად იქნება წარმატებული პროფესიული კარიერისა და/ან შემდეგ საფეხურზე სწავლის გაგრძელებისთვის.

ამასთან პროგრამა განუვითარებს სტუდენტს ისეთ ტრანსფერულ უნარებს, როგორიც არის კრიტიკული აზროვნება, ორიგინალური იდეებისა და კონცეფციების შესამუშავებლად ვიზუალური და თეორიული მასალის მოძიება/ანალიზი,

საკუთარი შემოქმედების ეფექტური პრეზენტაცია თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებითა და აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვით.

## სწავლის შედეგები და კომპეტენციები (ზოგადი და დარგობრივი)

პროგრამის
კურსდამთავრებული/კურსდამთავრებულს:

1. კურსდამთავრებული ავლენს სახვითი და გამოყენებითი ხელოვნებისა და დიზაინის სავალდებულო საბაზისო დისციპლინების ძირითადი პრინციპების, ტექნოლოგიების, კანონებისა და პრაქტიკების, ამასთან ვიზუალური ხელოვნების ტრადიციული დარგებისა და უახლესი ტენდენციების შესახებ ფართო ცოდნას;
2. აღჭურვილია საბაზო უნარებით ხატვის და ფერწერის კანონების, სახატავი და ფერწერული მასალებით მუშაობის ტექნოლოგიების და პრინციპების შესახებ;
3. წინასწარ განსაზღვრული მითითებების შესაბამისად შეუძლია შექმნას საავტორო ნამუშევარი გრაფიკის ხელოვნების ურთიერთთავსებად სახეობებში (დაზგური ან გამოყენებითი) რელევანტური ვიზუალური და თეორიული მასალის კვლევისა და ანალიზის საფუძველზე, შესაბამისი ტექნოლოგიების, ტექნიკების, მასალებისა და/ან ხელსაწყოების გამოყენებით; ასევე, გამოიყენოს კომპიუტერული პროგრამები დაზგური და გამოყენებითი გრაფიკის ხელოვნების ნამუშევრის შესრულებისას;
4. საავტორო ნამუშევარში შეუძლია გამოავლინოს საკუთარი სტილი და შემოქმედებითი ხედვა;
5. შემოქმედებითი იდეების განვითარებისა და განხორციელების პროცესში შეუძლია პლაგიატის თავიდან აცილება;
6. შეუძლია საკუთარი შემოქმედებითი იდეების ეფექტური ზეპირი ან წერილობითი კომუნიკაცია თანამედროვე საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენებით;
7. შეუძლია ეფექტურად იმუშაოს ინდივიდუალურად ან ჯგუფურად, იზრუნოს საკუთარი ცოდნისა და პროფესიული უნარ-ჩვევების განვითარებაზე;
8. შეუძლია საკუთარი სწავლის პროცესის მართვა დარგობრივი სასწავლო რესურსების ფართო სპექტრის გამოყენებით.

## სწავლის მეთოდები

- ლექცია, სემინარი;
- სტუდიური სწავლება;
- პრაქტიკული მეთოდი;
- ინდივიდუალური და ჯგუფური მუშაობა;
- დემონსტრირების მეთოდი;
- ელექტრონული სწავლების ელემენტები;
- დისკუსია/დებატები;
- და სხვა.

შენიშვნა: პროგრამაში გამოყენებული სწავლების მეთოდები დაკონკრეტებულია შესაბამისი კურსების სილაბუსებში.

## პროგრამის სტრუქტურა

**თავისუფალი კომპონენტი: ზოგადი მოდული - 60 კრედიტი:**

- შესავალი თანამედროვე აზროვნებაში I, II - 12 კრედიტი
- აკადემიური მუშაობის ტექნიკები - 6 კრედიტი
- სტატისტიკა - 6 კრედიტი
- ინგლისური ენის პრაქტიკული კურსები - 24 კრედიტი
- შესავალი კურსები კოდით INTRO - 12 კრედიტი

*შენიშვნა: გრაფიკის ხელოვნების შესწავლის მსურველი სტუდენტი ვალდებულია საბაკალავრო სწავლების პირველივე წელს გაიაროს საერთო სავალდებულო კურსები „პირველი ნაბიჯები ხატვასა და ფერწერაში 1: მარტივი ობიექტები. სტუდიური კურსი“ და „პირველი ნაბიჯები ხატვასა და ფერწერაში 2: რთული ობიექტები. სტუდიური კურსი“.*

**ძირითადი სწავლის სფერო - 120 კრედიტი:**

- საბაზისო სავალდებულო კურსები - 54 კრედიტი
- ხელოვნების ისტორიის სავალდებულო კურსები - 12 კრედიტი
- გრაფიკის ხელოვნების სავალდებულო კურსები - 36 კრედიტი

- არჩევითი კურსები - 18 კრედიტი

**დამატებითი პროგრამა/თავისუფალი კომპონენტი - 60 კრედიტი**

## შეფასების წესი

**შეფასების სისტემა:**
(A) ფრიადი – შეფასების 91-100 ქულა;
(B) ძალიან კარგი – მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა;
(C) კარგი – მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა;
(D) დამაკმაყოფილებელი – მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა;
(E) საკმარისი – მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა.
(FX) ვერ ჩააბარა – მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;
(F) ჩაიჭრა – მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

**შენიშვნა**: შეფასების კომპონენტები და კრიტერიუმები მოცემულია სასწავლო კურსების სილაბუსებში.

## დასაქმების სფეროები

კურსდამთავრებული შეიძლება დასაქმდეს დარგობრივი პროფილის მიხედვით, სახელდობრ:
- სარეკლამო ბიზნესი;
- დიზაინერული კომპანიები;
- გამომცემლობები;
- მასმედია;
- სტუდიები, სახელოსნოები;

და სხვა.

## სწავლისათვის აუცილებელი დამხმარე პირობები/რესურსები

- ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა და ელექტრონული რესურსები (მათ შორის სამეცნიერო ელექტრონული ბაზები);
- ტექსტური, ვიდეო-აუდიო საცავი;
- არგუსი; Turnitin და E-learning;
- აკადემიური წერის ცენტრი: https://writingcentre.iliauni.edu.ge/ge/
- დარგობრივი აუდიტორია-სახელოსნოები შესაბამისი ტექნიკური აღჭურვილობით;
- სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების ცენტრის პარტნიორი სხვადასხვა საწარმოები და ორგანიზაციები: შპს ,,ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა“, შპს „ფორტის გრუპი“, შპს ,,დიოგენე“.

## პროგრამის კურსების ჩამონათვალი

| № | კურსები | სტატუსი<br><br>(სავალდებულო ან არჩევითი) | კურსის წინაპირობები | ლექტორი | კრედიტები | საკონტ. საათები | სემესტრი | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | | | შემ | გაზ |
| | ***ზოგადი მოდულის 60 კრედიტი*** | | | | | | | |
| | აკადემიური მუშაობის ტექნიკები | *სავალდებულო* | | ლექტორთა ჯგუფი | 6 | 32 | X | X |
| | სტატისტიკა | *სავალდებულო* | | ლექტორთა ჯგუფი | 6 | 30 | X | |
| | ინგლისური ენის კურსი | *სავალდებულო* | | ლექტორთა ჯგუფი | 24 | 64 | X | X |
| | შესავალი თანამედროვე აზროვნებაში I | *სავალდებულო* | | ლექტორთა ჯგუფი | 6 | 32 | X | |
| | შესავალი თანამედროვე აზროვნებაში II | *სავალდებულო* | A180 | ლექტორთა ჯგუფი | 6 | 32 | | X |
| | ზოგადი მოდულის შესავალი კურსები კოდით INTROENG, INTROSOCEDU, INTROLF ან INTROHUMART | *სავალდებულო* | | ლექტორთა ჯგუფი | 12 | 30 | X | X |
| | ***საბაზისო სავალდებულო კურსები-54 კრედიტი*** | | | | | | | |
| | პირველი ნაბიჯები ხატვასა და ფერწერაში 1: **მარტივი ობიექტები**. სტუდიური კურსი | სავალდებულო | | შალვა მატუაშვილი, თამარ ცაგარელი, მარინა ნასიძე, ქეთევან მელია, მაკა მაზიაშვილი, რამაზ არავიაშვილი, თამარ ნინიკაშვილი, ნინო ტკაჩოვა, ირაკლი ტოკლიკიშვილი, ნინო ჩარგეიშვილი | 6 | 122 | X | |
| | პირველი ნაბიჯები ხატვასა და ფერწერაში 2: **რთული ობიექტები**. სტუდიური კურსი | სავალდებულო | პირველი ნაბიჯები ხატვასა და ფერწერაში 1: **მარტივი ობიექტები**. სტუდიური კურსი | ლექტორთა ჯგუფი | 6 | 122 | | X |
| | ხატვისა და ფერწერის სტუდიური კურსი 1: **თაბაშირის თავის ასლები** ფანქარში და ფერში | სავალდებულო | პირველი ნაბიჯები ხატვასა და ფერწერაში 2: **რთული ობიექტები**. | შალვა მატუაშვილი, თამარ ცაგარელი, მარინა ნასიძე, ქეთევან მელია, მაკა მაზიაშვილი, რამაზ არავიაშვილი, | 6 | 122 | X | |

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | სტუდიური კურსი | თამარ ნინიკაშვილი, ნინო ტკაჩოვა, ირაკლი ტოკლიკიშვილი, ნინო ჩარგეიშვილი | | | | |
| | ხატვისა და ფერწერის სტუდიური კურსი 2: **ადამიანის თავი** | სავალდებულო | ხატვისა და ფერწერის სტუდიური კურსი 1: **თაბაშირის თავის ასლები** ფანქარში და ფერში | ლექტორთა ჯგუფი | 6 | 122 | | X |
| | ხატვისა და ფერწერის სტუდიური კურსი 3: **ადამიანის ფიგურა** | სავალდებულო | ხატვისა და ფერწერის სტუდიური კურსი 2: **ადამიანის თავი** | ლექტორთა ჯგუფი | 6 | 122 | X | |
| | ხატვისა და ფერწერის სტუდიური კურსი 4: **შიშველი ფიგურა** | სავალდებულო | ხატვისა და ფერწერის სტუდიური კურსი 3: **ადამიანის ფიგურა** | ლექტორთა ჯგუფი | 6 | 122 | | X |
| | პლასტიკური ანატომია 1. ცხოველებისა და ფრინველების ანატომია. ადამიანის ძვლოვანი სისტემა. თეორიულ-პრაქტიკული კურსი | სავალდებულო | პირველი ნაბიჯები ხატვასა და ფერწერაში 2: **რთული ობიექტები**. სტუდიური კურსი | ტერეზა გველესიანი | 6 | 32 | X | |
| | პლასტიკური ანატომია 2. ადამიანის კუნთოვანი სისტემა, სხეულის პლასტიკა და არქიტექტონიკა. თეორიულ-პრაქტიკული კურსი | სავალდებულო | პლასტიკური ანატომია 1. ცხოველებისა და ფრინველების ანატომია. ადამიანის ძვლოვანი სისტემა. თეორიულ-პრაქტიკული კურსი | ტერეზა გველესიანი | 6 | 32 | | X |
| | სადიპლომო ნამუშევარი | სავალდებულო | ყველა სავალდებულო კურსი | | 6 | 60 | | X |
| *ხელოვნების ისტორიის სავალდებულო კურსები - 12 კრედიტი* | | | | | | | | |
| | უახლესი ტენდენციები ვიზუალურ ხელოვნებაში | სავალდებულო | ინგლისურის საბაზისო დონე - A2 | ხათუნა ხაბულიანი | 6 | 32 | | X |

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | შესავალი ხელოვნებასა და ხელოვნების ისტორიაში | სავალდებულო | | გიორგი ბუღაძე | 6 | 32 | X | |
| *გრაფიკის ხელოვნების სავალდებულო კურსები - 36 კრედიტი* | | | | | | | | |
| | კომპიუტერული და დაზგური გრაფიკა1: **CorelDRAW, შავ-თეთრი და ფერადი ლინოგრავიურა.** ანალიტიკურ-სტუდიური კურსი | სავალდებულო | პირველი ნაბიჯები ხატვასა და ფერწერაში 2: **რთული ობიექტები**. სტუდიური კურსი | მარიამ ჯანელიძე, ირაკლი ტოკლიკიშვილი გიორგი გაგნიძე, ლევან ხარაზიშვილი | 6 | 122 | X | |
| | კომპიუტერული და დაზგური გრაფიკა 2: **Adobe Illustrator. გრავიურა მუყაოზე.** ანალიტიკურ-სტუდიური კურსი | სავალდებულო | კომპიუტერული და დაზგური გრაფიკა1: **CorelDRAW, შავ-თეთრი და ფერადი ლინოგრავიურა.** ანალიტიკურ-სტუდიური კურსი | მარიამ ჯანელიძე, გიორგი გაგნიძე ირაკლი ტოკლიკიშვილი, ლევან ხარაზიშვილი | 6 | 122 | | X |
| | კომპიუტერული და დაზგური გრაფიკა 3: **Adobe Photoshop მონოტიპია და ქსილოგრაფია,** ანალიტიკურ-სტუდიური კურსი | სავალდებულო | კომპიუტერული და დაზგური გრაფიკა 2: **Adobe Illustrator. გრავიურა მუყაოზე.** ანალიტიკურ-სტუდიური კურსი | მარიამ ჯანელიძე, გიორგი გაგნიძე ირაკლი ტოკლიკიშვილი, ლევან ხარაზიშვილი | 6 | 122 | X | |
| | კომპიუტერული და დაზგური გრაფიკა 4: **After effect. ოფორტი - მშრალი შტრიხი, მოწამლული შტრიხი.** ანალიტიკურ-სტუდიური კურსი (ჩაშენებული პრაქტიკით) | სავალდებულო | კომპიუტერული და დაზგური გრაფიკა 3: **Adobe Photoshop მონოტიპია და ქსილოგრაფია,** ანალიტიკურ-სტუდიური კურსი | გიორგი გაგნიძე, ირაკლი ტოკლიკიშვილი, ლევან ხარაზიშვილი | 6 | 122 | | X |
| | გამოყენებითი გრაფიკა 1: **ქართული და ლათინური შრიფტი.** ანალიტიკურ-სტუდიური კურსი | სავალდებულო | კომპიუტერული და დაზგური გრაფიკა 2: Adobe Illustrator. გრავიურა მუყაოზე. ანალიტიკურ-სტუდიური კურსი | ლეილა გრიგოლია, თამარ ცაგარელი | 6 | 62 | X | |
| | გამოყენებითი გრაფიკა 2: | სავალდებულო | გამოყენებითი **გრაფიკა 1:** | ლეილა გრიგოლია, თამარ ცაგარელი | 6 | 62 | | X |

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | **პოსტერის ხელოვნება.**<br>ანალიტიკურ-სტუდიური კურსი | | **ქართული და ლათინური შრიფტი.**<br>ანალიტიკურ-სტუდიური კურსი | | | | | |
| *არჩევითი კურსები- 18 კრედიტი* | | | | | | | | |
| | კომპიუტერული და დაზგური გრაფიკა 5: **3D MAX. მეცოტინტო, ოფორტი-აკვატინტა, ლავისი.**<br>ანალიტიკურ-სტუდიური კურსი | არჩევითი | კომპიუტერული და დაზგური გრაფიკა 4: **After effect. ოფორტი - მშრალი შტრიხი, მოწამლული შტრიხი.**<br>ანალიტიკურ-სტუდიური კურსი (ჩაშენებული პრაქტიკით) | გიორგი გაგნიძე, ირაკლი ტოკლიკიშვილი, ლევან ხარაზიშვილი | 6 | 122 | X | |
| | გამოყენებითი გრაფიკა 3: **წიგნის გრაფიკა (ყდა, ტიტული, დეკორი).**<br>ანალიტიკურ-სტუდიური კურსი | არჩევითი | გამოყენებითი გრაფიკა 2: **პოსტერის ხელოვნება.**<br>ანალიტიკურ-სტუდიური კურსი | ლეილა გრიგოლია, თამარ ცაგარელი | 6 | 62 | X | |
| | გამოყენებითი გრაფიკა 4: **წიგნის გრაფიკა (ილუსტრაცია).**<br>ანალიტიკურ-სტუდიური კურსი | არჩევითი | გამოყენებითი გრაფიკა 3: **წიგნის გრაფიკა (ყდა, ტიტული, დეკორი).**<br>ანალიტიკურ-სტუდიური კურსი | ლეილა გრიგოლია, თამარ ცაგარელი | 6 | 62 | | X |
| | ენკაუსტიკის ხელოვნება 1. **ცივი და ცხელი ტექნიკა.**<br>ანალიტიკურ-სტუდიური კურსი | არჩევითი | პირველი ნაბიჯები ხატვასა და ფერწერაში 2 | თამარ ხარბედია, მაკა მაზიაშვილი | 6 | 62 | X | |
| | ენკაუსტიკის ხელოვნება 2. **ტრადიციული და თანამედროვე ენკაუსტიკის მიქსი.**<br>ანალიტიკურ-სტუდიური კურსი | არჩევითი | ენკაუსტიკის ხელოვნება 1. **ცივი და ცხელი ტექნიკა.**<br>ანალიტიკურ-სტუდიური კურსი | თამარ ხარბედია, მაკა მაზიაშვილი | 6 | 62 | | X |
| | **პეიზაჟის კომპოზიცია.**<br>ანალიტიკურ-სტუდიური კურსი | არჩევითი | პირველი ნაბიჯები ხატვასა და ფერწერაში 2: **რთული ობიექტები.** | შალვა მატუაშვილი, თამარ ნინიკაშვილი | 6 | 122 | X | |

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | სტუდიური კურსი | | | | | |
| | **სიუჟეტური კომპოზიცია.** ანალიტიკურ-სტუდიური კურსი | არჩევითი | **პეიზაჟის კომპოზიცია.** ანალიტიკურ-სტუდიური კურსი | შალვა მატუაშვილი, თამარ ნინიკაშვილი | 6 | 122 | | X |
| | საქართველოს მუზეუმები | არჩევითი | | სალომე ცისკარიშვილი | 6 | 32 | | X |
| | დასავლეთ ევროპის ხელოვნება რენესანსიდან რომანტიზმამდე | არჩევთი | | გიორგი ბუღაძე | 6 | 32 | X | X |
| | ხელოვნება რეალიზმიდან XX საუკუნის დასასრულამდე | არჩევთი | | ხათუნა ხაბულიანი | 6 | 32 | X | |
| | ბიზანტიისა და შუა საუკუნეების დასავლეთ ევროპის ხელოვნება | არჩევთი | | ნინო ჭიჭინაძე | 6 | 32 | X | |
| | ფეოდალური ხანის ქართული ხელოვნება | არჩევთი | შესავალი ხელოვნებასა და ხელოვნების ისტორიაში | ნინო ჭიჭინაძე | 6 | 32 | | X |
| | ძველი მსოფლიოს ხელოვნების ისტორია | არჩევთი | | ნინო ჭიჭინაძე | 6 | 32 | | X |
| | ანტიკური სამყაროს ხელოვნება | არჩევთი | | ნინო ჭიჭინაძე | 6 | 32 | X | |
| | სამუზეუმო გამოფენები | არჩევითი | | სალომე ცისკარიშვილი | 6 | 32 | X | |
| | ხელოვნების კრიტიკა და საკურატორო საქმე | არჩევითი | ინგლისური ენის ცოდნა - B1 დონე | ხათუნა ხაბულიანი | 6 | 32 | | X |
| | ვიზუალური ხელოვნების კვლევისა და ინტერპრეტაციის მეთოდები | არჩევითი | ინგლისურის საბაზისო დონე - A2 | ხათუნა ხაბულიანი | 6 | 32 | X | X |
| | მენეჯმენტის საფუძვლები | არჩევითი | | ბორის გითოლენდია | 6 | 32 | | X |

| პროგრამაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალი | | | |
|---|---|---|---|
| | *სახელი და გვარი* | *სტატუსი* | *ელექტრონული ფოსტა* |
| 1 | შალვა მატუაშვილი | პროფესორი | shalva.matuashvili@iliauni.edu.ge |
| 2 | ხათუნა ხაბულიანი | ასოცირებული პროფესორი | khatuna.khabuliani@iliauni.edu.ge |
| 3 | ნინო ჭიჭინაძე | პროფესორი | nino_chichinadze@iliauni.edu.ge |
| 4 | სალომე ცისკარიშვილი | ასოცირებული პროფესორი | salome.tsiskarishvili@iliauni.edu.ge |
| 5 | გიორგი ბუღაძე | პროფესორი | giorgi.bughadze@iliauni.edu.ge |
| 6 | თამარ ცაგარელი | მოწვეული მასწავლებელი | Tamar.tsagareli@iliauni.edu.ge |
| 7 | რამაზ არავიაშვილი | მოწვეული მასწავლებელი | ramaz.araviashvili@iliauni.edu.ge |
| 8 | ლეილა გრიგოლია | მოწვეული მასწავლებელი | leila.grigolia.1@iliauni.edu.ge |
| 9 | გიორგი გაგნიძე | მოწვეული მასწავლებელი | giorgi.gagnidze@iliauni.edu.ge |
| 10 | ტერეზა გველესიანი | მოწვეული მასწავლებელი | tereza.gvelesiani@iliauni.edu.ge |
| 11 | მაკა მაზიაშვილი | მოწვეული მასწავლებელი | maka.maziashvili@iliauni.edu.ge |
| 12 | ქეთევან მელია | მოწვეული მასწავლებელი | ketevan.melia@iliauni.edu.ge |
| 13 | მარინა ნასიძე | მოწვეული მასწავლებელი | marina.nasidze@iliauni.edu.ge |
| 14 | თამარ ნინიკაშვილი | მოწვეული მასწავლებელი | tamuna.ninikashvili@iliauni.edu.ge |
| 15 | ნინო ტკაჩოვა | მოწვეული მასწავლებელი | nino.tkachova@iliauni.edu.ge |
| 16 | ირაკლი ტოკლიკიშვილი | მოწვეული მასწავლებელი | irakli.toklikishvili@iliauni.edu.ge |
| 17 | ნინო ჩარგეიშვილი | მოწვეული მასწავლებელი | nino.chargeishvili@iliauni.edu.ge |
| 18 | მარიამ ჯანელიძე | მოწვეული მასწავლებელი | mariam.janelidze@iliauni.edu.ge |
| 19 | ლევან ხარაზიშვილი | მოწვეული მასწავლებელი | levan.kharazishvili1@iliauni.edu.ge |
| 20 | თამარ ხარბედია | მოწვეული მასწავლებელი | tamar.kharbedia@iliauni.edu.ge |
| 21 | ბორის გითოლენდია | მოწვეული მასწავლებელი | boris.gitolendia@iliauni.edu.ge |